პროგრამა

2008 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა უწყებამ (**Auswärtiges Amt**) დაიწყო პარტნიორი სკოლების ინიციატივა „Schulen: Partner der Zukunft“ (PASCH), რომლის მიზანია საზღვარგარეთ მდებარე სკოლებთან თანამშრომლობის გაძლიერება და გერმანულის, როგორც უცხო ენის, შესაბამისი ქვეყნების სასწავლო პროგრამებში მყარ და სტაბილურ კომპონენტად ჩამოყალიბება. PASCH-ინიციატივის მნიშვნელოვან ნაწილია “საზღვარგარეთ გერმანული პროფილის მქონე და პარტნიორი სკოლების მხარდაჭერის ინიციატივა” („Betreuungsinitiative Deutsche Auslands- und PartnerSchulen“) (BIDS), რომლის ორგანიზებასაც ახორციელებს **გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD)**.

BIDS-პროექტი მიზნად ისახავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის გაძლიერებას გერმანულ და გერმანული ენის დიპლომის (Sprachdiplom) გამცემ სკოლებთან. ამ კონტექსტში DAAD, აფინანსებს ჩვენს BIDS-ის პროექტსაც.

პროექტის ფარგლებში **ევროპული უნივერსიტეტი ვიადრინა** თანამშრომლობს თანამშრომლობს საზღვარგარეთისა და გერმანული ენის დიპლომის სკოლებთან სომხეთში, ბულგარეთში, საქართველოში, პოლონეთში, უკრაინასა და უზბეკეთში.

რატომ არის BIDS შენთვის საინტერესო?

✓ **შენ ჯერ არ იცი,**

... სად დაიწყო სწავლა?
... რა გინდა ისწავლო?

ჩვენ დაგეხმარებით ორიენტაციასა და გადაწყვეტილების მიღებაში, დაიწყო სწავლა ბრანდენბურგში!

✓ **გჭირდება მხარდაჭერა სწავლის დაწყებისას?**

ჩვენ შენს გვერდით ვართ კონსულტაციითა და მხარდაჭერით!

✓ **გჭირდება ფინანსური დახმარება?**

შეიტანე განაცხადი ჩვენს სამოტივაციო სტიპენდიაზე!

კონტაქტი

ევროპული უნივერსიტეტი ვიადრინა

რეგისტრაცია და შეკითხვები:

Maria Krug-Firstbrook (მარია კრუგ-ფირსტბრუკი)

BIDS-ის პროექტის კოორდინატორი

bids@europa-uni.de

Große Scharrnstraße 59

15230 Frankfurt (Oder)

2025 წლის ზაფხულის მდგომარეობით

BIDS
ევროპული უნივერსიტეტი ვიადრინა

საზღვარგარეთ გერმანული და პარტნიორი სკოლების მხარდაჭერის ინიციატივა



EUROPA-UNIVERSITÄT VIADRINA FRANKFURT (ODER)

DAAD Deutscher Akademischer Austauschdienst German Academic Exchange Service

უნივერსიტეტი

გერმანია-პოლონეთის საზღვარზე მდებარე **ევროპული უნივერსიტეტი ვიადრინა**, დაახლოებით 4 000 სტუდენტს სთავაზობს ინტერდისციპლინარულ საგანმანათლებლო პროგრამებს კულტურათმცოდნეობის, ეკონომიკისა და სამართლის მიმართულებით.

თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ სივრცეებში ჩატარებული მცირე მასშტაბის სასწავლო კურსები არსებითად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და სტუდენტთა აკადემიურ წარმატებას.

უნივერსიტეტის ძლიერი საერთაშორისო ორიენტაცია, მრავალფეროვანი უცხოენოვანი სასწავლო შეთავაზებები, ბილატერალური და ტრინაციონალური აკადემიური ხარისხების მიღების შესაძლებლობა ყოველწლიურად იზიდავს მრავალ სტუდენტს ოდერის რეგიონში როგორც გერმანიიდან, ისე უცხოეთიდან.

ჩვენი სასწავლო პროგრამები

ეკონომიკის ფაკულტეტი
- ბაკალავრი საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირება International Business Administration (ინგლისურად)
- სამართალი და ეკონომიკა
- აუდიტი (დუალური სწავლება)

სამართლის ფაკულტეტი
- გერმანული სამართალი (9 სემესტრი)
- ორმაგი დიპლომის პროგრამა: გერმანული და პოლონური სამართალი
- საბაკალავრო პროგრამა- სამართალი და ეკონომიკა
- საბაკალავრო პროგრამა- სამართალი და პოლიტიკა
- საბაკალავრო | სამაგისტრო პროგრამა- German and Polish Law (ინგლისურად)

კულტურათმცოდნეობის ფაკულტეტი
- საბაკალავრო პროგრამა- კულტურათმცოდნეობა
სპეციალობები: კულტურის ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, შედარებითი სოციოლოგია (სოციალური კვლევის მეთოდები)
- საბაკალავრო პროგრამა Cultural and Social Studies (ინგლისურად)
- საბაკალავრო პროგრამა- სამართალი და პოლიტიკა
- საბაკალავრო პროგრამა- პოლონისტიკა

BIDS ის გაცნობითი სასწავლო პროგრამა

ჩვენ ვიწვევთ მოსწავლეებს ოდერის ფრანკფურტში, რათა უშუალოდ გაეცნონ ვიადრინას უნივერსიტეტს და აკადემიურ პროცესებს.
ევროპული უნივერსიტეტი ვიადრინა ფარავს სამგზავრო, კვებისა და საცხოვრებელ ხარჯებს.

ჩვენ 2008 წლიდან ყოველწლიურად ვმასპინძლობთ **PASCH-სკოლების** დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს.

მრავალფეროვანი საცდელი სასწავლო კვირის **(Schnupperstudienwoche)** ფარგლებში მომავალ აბიტურიენტებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებას და ადგილზე მიიღონ ინფორმაცია ვიადრინას მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შესახებ.

რეგისტრაციისა და შეკითხვებისთვის: bids@europa-uni.de
დამატებითი ინფორმაციისთვის: https://www.europa-uni.de/de/internationalitaet/incoming/studieninteressierte/bids-internationale-partnerschulen/index.html

მოსწავლეებს ვაძლევთ შესაძლებლობას...

•გაეცნონ უნივერსიტეტის მიმდებარე გარემოს და კამპუსს ფრანკფურტსა და სლუბიცეში;
•მიიღონ ინფორმაცია უნივერსიტეტის მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შესახებ;
•დაესწრონ ლექციებსა და სემინარებს;
•გაიცნონ სტუდენტები;
•დაამყარონ აკადემიური და პროფესიული კავშირები ლექტორებთან და სტუდენტებთან მთელი მსოფლიოდან;
•მონაწილეობა მიიღონ ინტერკულტურულ და წერით სამუშაო ჯგუფებში (workshops);
•ისიამოვნონ ექსკურსიებით და მრავალფეროვანი კულტურული პროგრამით ბერლინში.

BIDS სამოტივაციო სტიპენდია

ბრანდენბურგში სწავლა ნამდვილად ღირს! PASCH-ის კურსდამთავრებულებს ჩვენი უნივერსიტეტი სწავლის დასაწყისშივე სთავაზობს მხარდაჭერას.
ამ მიზნით, **ვიადრინას** უნივერსიტეტი გასცემს სტიპენდიებს PASCH სკოლების მაღალი მიღწევებით და მოტივაციით გამოირჩეულ კურსდამთავრებულზე.

მოკლე ინფორმაცია სამოტივაციო სტიპენდიაზე:

სტიპენდიის ოდენობა**:** 450 ევრო თვეში;
ხანგრძლივობა**:** 1-ელი სემესტრი, შესაძლებელია გახანგრძლივება.

დამატებითი ინფორმაცია განაცხადის გაკეთების შესახებ იხილეთ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სტიპენდიები გაიცემა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) და გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების დაფინანსებით.

კონსულტაცია და მხარდაჭერა

ჩვენ ვაწვდით ინფორმაციას ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის შესახებ PASCH სკოლებსა და საგანმანათლებლო გამოფენებს.

სასკოლო ჯგუფების ვიზიტებს ყოველთვის მივესალმებით!

ასევე ვეხმარებით საზღვარგარეთ გერმანული სკოლებისა და Sprachdiplom სკოლების მოსწავლეებს სპეციალობის არჩევაში, განაცხადის შეტანასა და სტიპენდიების მოძიებაში და აგრეთვე აქტიურად ვუჭერთ მხარს უცხოელ სტუდენტებს.